

რეკომენდაცია

შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ირიბი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო კახა,

2017 წლის 14 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს სატელეფონო ცხელი ხაზის საშუალებით დაუკავშირდა დ. ყ., მოძრაობა „ინკლუზიური საზოგადოება - საქართველოს“ წევრი. განმცხადებლის განმარტებით, მთავრობის ადმინისტრაციის მხრიდან ის გახდა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლი.

1. ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი დ. ყ. უსინათლოა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი აქვს. მისი განმარტებით, 2017 წლის 13 ნოემბერს იმყოფებოდა მთავრობის ადმინისტრაციაში პრემიერ-მინისტრის სახელზე შედგენილი განცხადების ჩასაბარებლად, რომელიც ბრაილის შრიფტით იყო დაბეჭდილი. დ. ყ.-ს მითითებით, განცხადება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის კანცელარიაში დასარეგისტრირებლად არ მიიღეს და მიზეზად განცხადების შედგენის ფორმა დაასახელეს.

საქმის გარემოებების სრულყოფილად შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა 2017 წლის 24 ნოემბერს წერილობით¹ მიმართა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, დაეხუსტებინათ, იყო თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის, მათ შორის უსინათლო პირისთვის, ხელმისაწვდომი მთავრობის ადმინისტრაციაში კორესპონდენციის წარდგენა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს უფროსის 2017 წლის 20 დეკემბრით დათარიღებული პასუხის² თანახმად, „დ. ყ.-ს მიერ წარმოდგენილი იყო ბრაილის შრიფტით შედგენილი წერილი, რომელიც საქმისწარმოების სამსახურის არსებული წესების შესაბამისად, საჭიროებდა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირებას, რაც საქმისწარმოების სამსახურის თანამშრომლის მიერ დეტალურად განემარტა დ. ყ.-ის თანხლებ პირებს. აღნიშნული პროცედურა წარმოადგენდა აუცილებლობას წერილის შემდგომი განხილვისა და რეაგირების მიზნით, თუმცა

¹ წერილი #13-2/16213, 24 ნოემბერი, 2017 წელი.

² წერილი #39090, 20 დეკემბერი, 2017 წელი.

განმცხადებლის თანმხლები პირებისგან დაფიქსირდა უარი, აღნიშნულ პროცესს კი ისინი მობილური ტელეფონით იღებდნენ.³

როგორც დ. ყ.-ს მიერ წარმოდგენილი ვიდეო ჩანაწერიდან იკვეთება, მთავრობის ადმინისტრაციის კანცელარიის თანამშრომელმა განმცხადებლის თანმხლებ პირს შესთავაზა ბრაილის შრიფტით შედგენილი წერილის შინაარსი მას დაეწერა, რომელსაც ხელს განმცხადებელი მოაწერდა, რაზეც უარი მიიღო. ვიდეო ჩანაწერიდან დასტურდება, რომ საქმისწარმოების სამსახურის თანამშრომლის შეთავაზება განპირობებულია იმით, რომ მას შეუძლებლად მიაჩნია ბრაილის შრიფტით დაწერილი განცხადების მონაცემების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში შეტანა ბრტყელი შრიფტით შედგენილი განცხადების გარეშე. ჩანაწერიდან ასევე დასტურდება, რომ მას შემდეგ, რაც დ. ყ.-ს თანხმობა პირმა სატელეფონო საუბრის შემდეგ უარი განაცხადა განმცხადებლის სახელით დაეწერა განცხადება, საქმისწარმოების სამსახურის თანამშრომელმა ბრაილის შრიფტით დაწერილი განცხადება არ ჩაიბარა.

საქართველოს სახალხო დამცველმა 22 დეკემბერს განმეორებით მიმართა მთავრობის ადმინისტრაციას დასაზუსტებლად,⁴ მოქალაქის მიერ წერილის რეგისტრაციაზე თანხმობის შემთხვევაში შეძლებდა თუ არა მთავრობის ადმინისტრაცია ბრაილის შრიფტით წარმოდგენილი წერილის დარეგისტრირებას. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს უფროსის განმარტებით,⁵ განმცხადებლის თანხმობის შემთხვევაში, მისი წერილი დარეგისტრირდებოდა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და, შესაბამისად, მთავრობის ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამსახური შეძლებდა ბრაილის შრიფტით წარდგენილი წერილის მიღებას.

2018 წლის 26 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას მიაწოდა⁶ განმცხადებლის მიერ წარდგენილი ვიდეო ჩანაწერი, საიდანაც იკვეთება, რომ მთავრობის ადმინისტრაციის კანცელარიის თანამშრომელმა არ ჩაიბარა განმცხადებლის წერილი. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას ვიდეო ჩანაწერთან დაკავშირები პოზიცია არ წარმოუდგენია.

2018 წლის 14 ივნისს სახალხო დამცველმა წერილობით⁷ მიმართა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს, მიეწოდებინათ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამსახურის წესების ასლი, რომელზეც 2017 წლის 20 დეკემბრით დათარიღებულ წერილში უთითებდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს უფროსი. 2018 წლის 28 ივნისს წერილით გვეცნობა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამსახური განცხადების მიღების დროს ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, კონკრეტულად კი კოდექსის მე-6 თავით, რომელიც აწესრიგებს ადმინისტრაციული წარმოების ზოგად დებულებებსა და მარტივ ადმინისტრაციულ წარმოებას.⁸

³ იხილეთ იქვე.

⁴ წერილი #13-2/17562, 22 დეკემბერი, 2017 წ.

⁵ წერილი #977, 4 იანვარი, 2018 წ.

⁶ წერილი #13-2/4548, 26 მარტი, 2018 წ.

⁷ წერილი #N13/8050, 14 ივნისი, 2018 წ.

⁸ წერილი #GOV 0 18 00020968, 28 ივნისი, 2018 წ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა შესთავაზა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, წარმოედგინა პოზიცია ვიდეო ჩანაწერთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას ვიდეო ჩანაწერის ავთენტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაუყენებია.

ის გარემოება, რომ მთავრობის ადმინისტრაციის კანცელარიის სამსახურის თანამშრომლები განმცხადებლის თანმხლებ პირს ბრაილის შრიფტით დაწერილი განცხადების ბრტყელი შრიფტით შედგენილი ვერსიის შექმნას და განცხადების დარეგისტრირება დამოკიდებული იყო იმაზე, იარსებებდა თუ არა დოკუმენტი, რომლის გარჩევასაც შეძლებდა მთავრობის ადმინისტრაციის კანცელარიის თანამშრომელი, დასტურდება არა მხოლოდ ვიდეო ჩანაწერიდან, არამედ ასევე, ადამიანის უფლებათა სამდივნოს უფროსის წერილიდან, რომელშიც მითითებულია, რომ საქმისწარმოების სამსახურის წესები დეტალურად განემარტა არა დ. ყ.-ს, არამედ მის თანმხლებ პირებს, რაზეც *ბატონი დ. ყ.-ს თანმხლები პირებისგან დაფიქსირდა უარი*.⁹

შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი დადგენილად მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამსახურის თანამშრომლებმა უარი განაცხადეს ბრაილის შრიფტით შედგენილი განცხადების მიღებაზე, მას შემდეგ, რაც განმცხადებლის თანმხლებმა პირმა არ შეადგინა ბრაილის შრიფტით შედგენილი წერილის ბრტყელი შრიფტით შედგენილი ვერსია.

2. სამართლებრივი შეფასება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, „შესაძლებლობის შეზღუდვაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია“ გულისხმობს ყველანაირ განსხვავებას, გამორიცხვას ან შეზღუდვას, რომლის მიზანი ან შედეგია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან სხვა სფეროებში, ადამიანის ყველა უფლების და ფუნდამენტური თავისუფლების სხვების თანასწორად ცნობის, რეალიზების ან სარგებლობის ხელის შეშლა ან მათი უარყოფა. შესაძლებლობის შეზღუდვაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია მოიცავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას გონივრულ მისადაგებაზე უარის თქმის ჩათვლით.“

კანონის წინაშე ყველას თანასწორობის და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით. დისკრიმინაციისაგან დაცვის და თანასწორობის უზრუნველყოფის ქმედით მექანიზმებს ქმნის საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომლის მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.

კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს პირდაპირ და ირიბ დისკრიმინაციას. ირიბ დისკრიმინაციად მიიჩნევა *ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით*

⁹ იხ. სქოლიო #2.

გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

შესაბამისად, ირიბი დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა კანონით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო პირს თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს; ამგვარი მდგომარეობა არ ემსახურება კანონით განსაზღვრულ მიზანს; ამგვარ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის მიღწევის არაპროპორციული საშუალებაა.

შესაბამისად, განმცხადებლის მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის ვარაუდის დასადასტურებლად ან გამოსარიცხად, მნიშვნელოვანია საქართველოს სახალხო დამცველმა დაადგინოს: 1. რომელი უფლებით სარგებლობაში შეეშალა ხელი განმცხადებელს; 2. არის თუ არა ფორმით ნეიტრალური დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა თავისი არსით დისკრიმინაციული? 3. აქვს თუ არა ადგილი არსებითად უთანასწორო პირების მიმართ თანაბარ მოპყრობას? 4. ემსახურება თუ არა სადავო დებულება/კრიტერიუმი ან პრაქტიკა კანონით განსაზღვრული მიზანს და აქვს თუ არა განსხვავებულ მოპყრობას ობიექტური და გონივრული გამართლება.

2.1. რომელი უფლებით სარგებლობაში შეეშალა ხელი განმცხადებელს

საქართველოს სახალხო დამცველმა დადგენილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს არ მიეცა ბრაილის შრიფტით შედგენილი განცხადების საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში ჩაბარების შესაძლებლობა.

საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. აღნიშნულ კონსტიტუციურ დანაწესს ფუნდამენტი გამოეცლებოდა მოქალაქის წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფი მიქანიზმების არსებობის გარეშე. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვერ იფუნქციონირებენ მათთვის ლეგიტიმაციის მიმცემი მოქალაქეების ყოველდღიური პრობლემებისა და საჭიროებებისადმი დისტანცირებით. მოქალაქის წუხილების, შენიშვნებისა და მოსაზრებების ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი მიწოდების ერთ-ერთ გზად საქართველოს კანონმდებლობა ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვას განიხილავს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი აღიარებს ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვის უფლებას. კერძოდ, კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, *ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.*

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გარანტირებული ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვის უფლებით მატერიალიზდება პირის მიერ აზრისა და შეხედულების გამოხატვის თავისუფლება, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ შეხედულებებისა და მოსაზრებების დაბრკოლებების გარეშე გამოხატვის უფლებას, არამედ ამ შეხედულებების კონკრეტულ ადრესატამდე მიტანის, ასევე ინფორმაციის მიღების ეფექტიანი შესაძლებლობის არსებობასაც.

აღნიშნული უფლება გარანტირებულია ყველასთვის, გამონაკლისების გარეშე. სხვებთან თანასწორობის საფუძველზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ აზრისა და შეხედულებების გამოხატვის თავისუფლებას, ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღებისა და გადაცემის თავისუფლების ჩათვლით, აღიარებს როგორც ეროვნული კანონმდებლობა, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია. კონვენციის 21-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული უფლების განხორციელებისას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს შეუძლია თავის შეხედულებისამებრ შეარჩიოს კომუნიკაციის მისთვის ყველაზე მისაღები საშუალებები, რომლებიც კონვენციის მე-2 მუხლითაა განსაზღვრული. კონვენციის მე-2 მუხლის მიზნებისთვის კი, „კომუნიკაცია“ მოიცავს ბრაილის შრიფტსაც - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობისას, კონვენცია წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს შესაძლებელი გახადონ და ხელს შეუწყონ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ, საკუთარი არჩევნით, ჟესტების ენის, ბრაილის შრიფტის, გამაძლიერებელი და ალტერნატიული კომუნიკაციისა და სხვა ხელმისაწვდომი ფორმების, მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებას.“

ზემოაღნიშნული გათვალისწინებით, ვინაიდან დ. ყ.-ს არ მიეცა ბრაილის შრიფტით შედგენილი განცხადების საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში ჩაბარების შესაძლებლობა, საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მას შეეზღუდა გამოხატვის და ადმინისტრაციული ორგანოებისადმი მიმართვის უფლება, რომელიც გარანტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციითა და ეროვნული კანონმდებლობით.

2.2. არის თუ არა ფორმით ნეიტრალური დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა თავისი არსით დისკრიმინაციული?

შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ირიბი დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც კონკრეტული მიდგომა, კრიტერიუმი ან პრაქტიკა ყველას თანაბრად ეხება (ან უნდა ეხებოდეს), თუმცა რელურად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს შეზღუდვის არმქონე პირებთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს (ან ჩააყენებს).¹⁰

შესაბამისად, ირიბი დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელია ფორმით ნეიტრალური დებულების, კრიტერიუმის ან პრაქტიკის არსებობა, რომელიც ყველას მიმართ ერთნაირად გამოიყენება.

¹⁰ Being Disabled in Britain: A Journey Less Equal, გვ. 22, პირველად დაიბეჭდა 2017 წლის 3 აპრილს, ხელმისაწვდომია <https://www.equalityhumanrights.com/en/publication-download/being-disabled-britain-journey-less-equal>.

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლის განცხადებაზე უარის მიზეზად საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ მიუთითა, რომ საქმისწარმოების სამსახურის არსებული წესების თანახმად, აუცილებელი იყო ბრაილის შრიფტით შედგენილი განცხადების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირება.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს პასუხის თანახმად, განცხადების მიღების დროს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამსახური ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავი (მუხლები 72-102) აწესრიგებს ადმინისტრაციული წარმოების ზოგად დებულებებსა და მარტივ ადმინისტრაციულ წარმოებას, განსაზღვრავს ადმინისტრაციული წარმოების მხარეებს, ადმინისტრაციული წარმოების მონაწილეებს, ადგენს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძვლებს, ადმინისტრაციულ ორგანოში წარსადგენი განცხადების ფორმას და სხვა.

ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება, რომელიც წერილობითი ფორმით უნდა იყოს წარდგენილი.¹¹ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ აკონკრეტებს განცხადებისა და მასზე თანდართული დოკუმენტების თუ სხვა ინფორმაციის წარდგენის წესს და მის განსაზღვრას ადმინისტრაციულ ორგანოს ანდობს.¹²

ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავით დადგენილი დებულებები ადმინისტრაციულ ორგანოებს საქმისწარმოების მხოლოდ ზოგად ჩარჩოებს უდგენს, საქართველოს სახალხო დამცველის ამოცანას არ წარმოადგენს აღნიშნული რეგულაციების შეფასება, დისკრიმინაციულია თუ არა ეს ნორმები. თითოეული ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, აღნიშნული ზოგადი რეგულაციების საფუძველზე თავად შეიმუშავოს საქმისწარმოების სტანდარტები, რომელიც მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, მოაწესრიგებს კონკრეტულ დაწესებულებაში მოქალაქეთა განცხადებების წარდგენის წესს.

მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს წერილის მიხედვით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას არ გააჩნია საქმისწარმოების ერთიანი წესი.¹³ საქართველოს სახალხო დამცველი ხელმძღვანელობს აღნიშნული მოცემულობით და ადგენს, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამსახურის მიერ დადგენილია ერთგვაროვანი, ნეიტრალური პრაქტიკა, რომელიც ყველა განმცხადებელს მათთვის დამახასიათებელი თვისებების გაუთვალისწინებლად, სთხოვს წარმოადგინოს განცხადების ბრტყელი შრიფტით შედგენილი ვერსია.

¹¹ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 78.

¹² ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 77-ე მუხლის მიხედვით: „განცხადებისა და მასზე დართული დოკუმენტების თუ სხვა სახის ინფორმაციის წარდგენის წესი, თუკი იგი დადგენილი არ არის კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით, განისაზღვრება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დებულებით.“

¹³ იხილეთ სქოლიო #9

2.3. აქვს თუ არა ადგილი არსებითად უთანასწორო პირების მიმართ თანაბარ მოპყრობას?

საქმეში საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ „ზოგადი და ნეიტრალური კანონი, თუ ის ითვალისწინებს ყველას მიმართ, მათ შორის არათანასწორთა მიმართ თანაბარ მოპყრობას, თავადვე არღვევს თანასწორობის პრინციპს.“¹⁴

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ დისკრიმინაციაა, როდესაც სახელმწიფო, ობიექტური და გონივრული გამართლების გარეშე განსხვავებულად არ ეპყრობა იმ პირებს, რომელთა მდგომარეობაც არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან.¹⁵

მოცემულ შემთხვევაში, შესადარებელ ჯგუფს წარმოადგენენ ის პირები, რომელთაც, მხედველობასთან დაკავშირებული შეზღუდვის არარსებობის გამო, ბრაილის შრიფტის გამოყენება არ ესაჭიროებათ.

ბუნებრივია, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამსახურის მიერ დადგენილი პრაქტიკა, რომელიც განმცხადებელს სთხოვს წარმოადგინოს განცხადების ბრტყელი შრიფტით შედგენილი ვერსია, დაბრკოლებებს არ უქმნის იმ პირებს, რომლებიც განცხადების შედგენისთვის ბრაილის შრიფტის გამოყენებას არ საჭიროებენ, რასაც ადგილი ჰქონდა კიდევ დ. ყ.-ს შემთხვევაში, როდესაც საქმისწარმოების დეპარტამენტმა რეგისტრაციაში არ გაატარა მის მიერ ბრაილის შრიფტით შედგენილი განცხადება.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ადგილი აქვს არსებითად არათანასწორ პირთა მიმართ თანაბარ მოპყრობას.

2.4. ლეგიტიმური მიზანი და ნეიტრალური პრაქტიკის გამოყენების ობიექტური და გონივრული დასაბუთება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველს წარმოეშობა დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი, მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია, გადადის მოპასუხე მხარეზე.

დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი ნიშნავს, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტები იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ იგი რომელიმე აკრძალული ნიშნის საფუძველზე, დაექვემდებარა განსხვავებულ მოპყრობას. მოპასუხე მხარეზე მტკიცების ტვირთის გადატანა კი გულისხმობს, რომ მოპასუხემ სახალხო დამცველს უნდა წარმოუდგინოს ისეთი ლეგიტიმური მიზანი, რომელიც არის განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება.

¹⁴ საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2011 წლის 22 დეკემბერი, პარაგრაფი 65.

¹⁵ ECtHR, *Thlimmenos v. Greece*, განაცხადი # 34369/97, 06/04/2000, §44

მოპასუხე მხარეს არ დაუსახელებია ის ლეგიტიმური მიზანი, რომლიც გაამართლებდა უსინათლო პირების სხვათა თანაბრად მოპყრობას მათთვის ბრტყელი შრიფტით შედგენილი განცხადების წარმოდგენის მოთხოვნის გზით. უფრო მეტიც, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს წერილში საუბარია მთავრობის ადმინისტრაციაში უსინათლო პირებისათვის აუცილებელი სერვისის დანერგვის საჭიროებაზე, რაც „უახლოეს მომავალში . . . საქმისწარმოების სამსახურის თანამშრომელთა გადამზადებას ითვალისწინებს.“¹⁶

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველს შეუძლია ივარაუდოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სხვა პირთა თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება განპირობებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამსახურის თანამშრომელთათვის შესაბამისი მომზადების არარსებობით ან ნაკლებობით, რაც სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების უგულვებელყოფას წარმოადგენს და თავისთავად, ვერ ჩაითვლება ლეგიტიმურ მიზნად.

ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში კი განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ პირთა თანაბარ მოპყრობას და მისგან გამომდინარე შესაძლო უარყოფით შედეგებს ობიექტური და გონივრული გამართლება არ აქვს. შესაბამისად, სახალხო დამცველი არ განიხილავს, ჰქონდა თუ არა მოპყრობას ობიექტური და გონივრული გამართლება.

3. დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დ. ყ.-ს მიმართ ადგილი ჰქონდა ირიბ დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე.

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ მუხლითა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას მიმართავს რეკომენდაციით:

- უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისთვის ბრაილის შრიფტით და სხვა ალტერნატიული ფორმებით შედგენილი განცხადებით მიმართვის შესაძლებლობა;
- აღნიშნული სერვისის დანერგვის მიზნით, უზრუნველყოს საქმისწარმოების სამსახურის თანამშრომლების გადამზადება და საჭიროების შემთხვევაში, ბრაილის შრიფტით და სხვა ალტერნატიული ფორმებით შედგენილი განცხადების შინაარსის გაგების მიზნით შესაბამისი სპეციალისტების მოწვევა.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

¹⁶ იხ. სქოლიო #2.

პატივისცემით,